

შპს „მოგო“

ფინანსური ანგარიშგება

*2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10-42

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მოგოს“ და Mogo Finance S.A.-ის ხელმძღვანელობას

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მოგოს“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია ასახულია კომპანიის 2018 წლის მმართველობით ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2018 წლის წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არც ახლა და არც მომავალში გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენს ანგარიშში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებული ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას

იქონიებს კლიენტების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნი, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ. თუ დავასკვნი, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

Mogo Finance S.A.-ის ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 30 სექტემბერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მოგოს“ და Mogo Finance S.A.-ის ხელმძღვანელობას

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მოგოს“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია ასახულია კომპანიის 2018 წლის მმართველობით ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2018 წლის წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არც ახლა და არც მომავალში გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენს ანგარიშში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებულნი ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას

იქონიებს კლიენტების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

Mogo Finance S.A.-ის ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 30 სექტემბერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ლარი)

	შენიშვნა	2018	2017 (რეკლასიფი- ცირებული)
საპროცენტო შემოსავალი		31,654,011	20,825,651
საპროცენტო ხარჯი	6	(6,905,745)	(5,558,821)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		<u>24,748,266</u>	<u>15,266,830</u>
წმინდა შემოსავალი დავალიანების ამოღების ლონისძიებებიდან		1,488,879	508,377
შემოსავალი ჯარიმებიდან		4,273,124	3,176,807
გადახდილი ჯარიმები		(1,217,356)	(420,500)
საკრედიტო ზარალის ხარჯი	12	(14,579,439)	(4,446,115)
წმინდა ზარალი ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების გაყიდვიდან		(680,148)	–
პირინგული პლატფორმების მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები		(74,930)	–
გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯი	7	(723,427)	(774,512)
ადმინისტრაციული ხარჯი	8	(5,852,746)	(3,167,233)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	9	1,217,574	546,756
სხვა საოპერაციო ხარჯი	10	(1,186,737)	(925,060)
წმინდა საოპერაციო ხარჯები		<u>(17,335,206)</u>	<u>(5,501,480)</u>
წმინდა სავალუტო მოგება/(ზარალი)		272,893	(2,769,821)
დასაბეგრი მოგება		<u>7,685,953</u>	<u>6,995,529</u>
მოგების გადასახადი		–	417,506
წლის წმინდა მოგება და სრული შემოსავალი		<u><u>7,685,953</u></u>	<u><u>7,413,035</u></u>

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 30
სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ანა ქურსუა
დირექტორის უფლებამოსილი წარმომადგენელი

ნატო ვაჩნაძე
მთავარი ბუღალტერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ლარი)

	შენიშვნა	2018	2017 (რეკლასიფი- ცირებული)
საპროცენტო შემოსავალი		31,654,011	20,825,651
საპროცენტო ხარჯი	6	(6,905,745)	(5,558,821)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		24,748,266	15,266,830
წმინდა შემოსავალი დავალიანების ამოღების ღონისძიებებიდან		1,488,879	508,377
შემოსავალი ჯარიმებიდან		4,273,124	3,176,807
გადახდილი ჯარიმები		(1,217,356)	(420,500)
საკრედიტო ზარალის ხარჯი	12	(14,579,439)	(4,446,115)
წმინდა ზარალი ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების გაყიდვიდან		(680,148)	–
პირინგული პლატფორმების მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები		(74,930)	–
გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯი	7	(723,427)	(774,512)
ადმინისტრაციული ხარჯი	8	(5,852,746)	(3,167,233)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	9	1,217,574	546,756
სხვა საოპერაციო ხარჯი	10	(1,186,737)	(925,060)
წმინდა საოპერაციო ხარჯები		(17,335,206)	(5,501,480)
წმინდა სავალუტო მოგება/(ზარალი)		272,893	(2,769,821)
დასაბეგრი მოგება		7,685,953	6,995,529
მოგების გადასახადი		–	417,506
წლის წმინდა მოგება და სრული შემოსავალი		7,685,953	7,413,035

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ანა ქურსუა
დირექტორის უფლებამოსილი წარმომადგენელი

ნატო ვაჩნაძე
მთავარი ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები		18,959	41,075
ძირითადი საშუალებები	11	469,674	334,604
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	12	22,260,034	29,113,025
სულ გრძელვადიანი აქტივები		22,748,667	29,488,704
მოკლევადიანი აქტივები			
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	12	33,536,068	19,126,296
გასაყიდად გამოზნული სხვა აქტივები	13	1,448,324	1,061,539
სხვა დებიტორული დავალიანება	14	3,387,389	212,537
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში		2,245,811	1,476,453
სულ მიმდინარე აქტივები		40,617,592	21,876,825
სულ აქტივები		63,366,259	51,365,529
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		5,626,474	5,626,474
სხვა რეზერვები		(729,721)	–
გაუნაწილებელი მოგება		16,697,705	8,550,824
სულ საკუთარი კაპიტალი	16	21,594,458	14,177,298
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	17	34,218,283	36,160,800
ფინანსური გარანტიისთვის შექმნილი ანარიცხები	15	696,552	–
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		34,914,835	36,160,800
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	17	5,276,733	–
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება		145,410	338,716
საგადასახადო დავალიანება		289,269	107,512
სხვა ვალდებულებები	18	1,145,553	581,203
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,856,965	1,027,431
სულ ვალდებულებები		41,771,801	37,188,231
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		63,366,259	51,365,529

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
31 დეკემბერი, 2016 წ.	5,626,474	–	1,137,789	6,764,263
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	7,413,035	7,413,035
31 დეკემბერი, 2017 წ.	5,626,474	–	8,550,824	14,177,298
ფასს 9-ის გამოყენების გავლენა (მე-4 პენიშვნა)	–	–	460,928	460,928
ნაშთი 2018 წლის 1 დეკემბრის				
მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	5,626,474	–	9,011,752	14,638,226
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	7,685,953	7,685,953
ფინანსური გარანტიების გაცემა (მე-16 პენიშვნა)	–	(729,721)	–	(729,721)
31 დეკემბერი, 2018 წ.	<u>5,626,474</u>	<u>(729,721)</u>	<u>16,697,705</u>	<u>21,594,458</u>

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ლარი)

	შენიშვნა	2018	2017
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები დასაბეგრი მოგება		7,685,953	6,995,529
კორექტირებები:			
ამორტიზაცია და ცვეთა		218,336	201,649
საპროცენტო ხარჯი	6	6,905,745	5,558,821
ძირითადი საშუალებების ჩამოწერასთან დაკავშირებული დანაკარგები	11	19,720	29,313
საკრედიტო ზარალის ხარჯი	12	14,579,439	4,446,115
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		29,409,153	17,231,427
ცვლილება იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებში		(22,136,220)	(21,103,740)
ცვლილება სხვა დებიტორულ დავალიანებაში		(3,174,852)	(134,294)
ცვლილება გასაყიდად გამიზნულ სხვა აქტივებში		(386,785)	181,921
ცვლილება კრედიტორულ და სხვა დავალიანებაში		371,044	427,608
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები		4,082,340	(3,397,078)
გადახდილი პროცენტი	23	(6,388,552)	(3,241,462)
გადახდილი მოგების გადასახადი		—	817,000
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2,306,212)	(5,821,540)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(395,202)	(132,725)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(395,202)	(132,725)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული / ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
აღებული სესხები		65,063,961	12,925,145
დაფარული სესხები		(61,306,502)	(6,177,580)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	23	3,757,459	6,747,565
სავალუტო კურსის გავლენა ნაღდი ფულის ნაშთზე ბანკში		(286,687)	(91,209)
ბანკში ნაღდი ფულის ნაშთის ცვლილება		769,358	702,091
წმინდა საკუროსო სხვაობა			
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში		1,476,453	774,362
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს		2,245,811	1,476,453

(ლარი)

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „მოგო“ (შემდგომში „კომპანია“) არის იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (საიდენტიფიკაციო ნომერი 404468688). კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ავტომობილების იჯარის, გაყიდვის და უკუიჯარის მომსახურებები 27,000 ლარამდე თანხითა და ექვს წლამდე ვადით. ორივე შემთხვევაში სესხის უზრუნველყოფად ავტომანქანა გამოიყენება და ამიტომ კომპანიის მიერ გაცემული ყველა სესხი უზრუნველყოფილია. დაფინანსება გაიცემა კლიენტთა მომსახურების ცენტრებში.

2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის პარტნიორები იყვნენ:

მფლობელები	წილობრივი მონაწილეობა (%)
Mogo Finance S.A. (შემდგომში „მშობელი კომპანია“, „მფლობელი“)	98%
გიორგი მაქარიძე	2%
სულ	100%

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. 42-42ა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მშობელი კომპანიის მიერ ჯერ არ დამტკიცებულა კომპანიის მფლობელთა საერთო კრებაზე. მფლობელებს უფლება აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანონ გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (შემდგომში „ლარი“), თუკი სხვაგვარად არ არის მითითებული.

რეკლასიფიკაცია

- (ა) ფასს 9-ის მიღების შემდეგ (მე-3 შენიშვნა), კომპანიამ განაახლა სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენა, რათა გაემიჯნა ფასს 9-ის მიხედვით განსაზღვრული გაუფასურების ზარალი, როგორც საკრედიტო ზარალის ხარჯი, სხვა გაუფასურების ზარალისგან.
- (ბ) ამასთან, 2018 წელს კომპანიამ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ერთმანეთისგან გაემიჯნა საპროცენტო და მსგავსი შემოსავლისა და ხარჯის მუხლები.

(ლარი)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

რეკლასიფიკაცია (გაგრძელება)

შესაბამისად, 2017 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შევიდა შემდეგი რეკლასიფიკაციები 2018 წლის წარდგენასთან მის შესაბამისობაში მოსაყვანად:

სრული შემოსავლის ანგარიშგება		რეკლასიფი- კაციამდე	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიკაციის შემდეგ
გაუფასურება	(ა)	(4,865,659)	4,865,659	–
საკრედიტო ზარალის ხარჯი	(ა)	–	4,446,115	(4,446,115)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(ა)	(505,516)	(419,544)	(925,060)
საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი	(ბ)	25,679,860	(25,679,860)	–
საპროცენტო და მსგავსი ხარჯი	(ბ)	(7,148,346)	7,148,346	–
საპროცენტო შემოსავალი	(ბ)	–	20,825,651	20,825,651
საპროცენტო ხარჯი	(ბ)	–	(5,558,821)	(5,558,821)
წმინდა შემოსავალი დავალიანების ამოღების ღონისძიებებიდან	(ბ)	–	508,377	508,377
შემოსავალი ჯარიმებიდან	(ბ)	–	3,176,807	3,176,807
გადახდილი ჯარიმები	(ბ)	–	(420,500)	(420,500)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

(ა) უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი სამუშაო ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. ყველა სხვაობა აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

(ბ) ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება უცვლელი, კომპანია ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო გამოყენების ვადით და შესაბამისად არიცხავს ცვეთას. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექცია, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების დანახარჯი გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეიძლება. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

(ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა:

აღჭურვილობა

2-5 წელი

საიჯარო ქონების გაუმჯობესება

2-5 წელი

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა მოგებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე. აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

(გ) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია, გარდა კაპიტალიზებული კვლევა-განვითარების ხარჯებისა, არ ხდება და ხარჯი აისახება იმ წლის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს ხარჯი გაიწია.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა ფასდება სასრულად და შეზღუდულია 2-5 წლამდე.

შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე.

ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

(ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორისთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

პირველადი აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ამ ინსტრუმენტების მართვის ბიზნესმოდელზე. ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ როდესაც ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მაშინ ამ თანხას ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია ყველა თავისი ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას ახდენს ამ აქტივების მართვის ბიზნესმოდელისა და სახელშეკრულებო პირობების მიხედვით და აფასებს შემდეგიდან ერთ-ერთით:

- ▶ ამორტიზებული ღირებულება;
- ▶ სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- ▶ სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანიამ, ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების გარდა, ყველა თავისი ფინანსურ აქტივს მიაკუთვნებდა სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიას (ამორტიზებული ღირებულება).

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით მხოლოდ მაშინ აფასებს, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ▶ ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანიც არის ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად;
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს (SPPI).

ბიზნესმოდელის შეფასება

კომპანია თავის ბიზნესმოდელს განსაზღვრავს იმ დონეზე, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს იმას, თუ როგორ მართავს ის ფინანსური აქტივების ჯგუფს თავისი მიზნის მისაღწევად – რისკებს, რომლებიც ამ ბიზნესმოდელის ეფექტურობაზე მოქმედებს (და ამ ბიზნესმოდელის მიხედვით ფლობილ ფინანსურ აქტივებზე) და ამ რისკების მართვის გზებს. კომპანიის შეფასების მნიშვნელოვანი ასპექტებია ასევე გაყიდვების მოსალოდნელი სიხშირე, ოდენობა და დრო. ბიზნესმოდელის შეფასება ეყრდნობა გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებს, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფულადი ნაკადების რეალიზაცია კომპანიის თავდაპირველი მოლოდინისგან განსხვავებულად ხდება, კომპანია ამ ბიზნესმოდელის დანარჩენი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას კი არ ცვლის, არამედ ამ ინფორმაციას ითვალისწინებს მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას. შეფასებული ბიზნესმოდელის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით.

(ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის პროცესის მეორე ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში (მაგალითად, თუ მოხდა ძირითადი თანხის დაფარვა ან პრემიის/დისკონტის ამორტიზაცია).

პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები საკრედიტო ხელშეკრულებებში, როგორც წესი, არის ფულის დროითი ღირებულების ანაზღაურება და საკრედიტო რისკი. კომპანიამ ჩაატარა SPPI შეფასება და დაადგინა, რომ თავისი ფინანსური აქტივები აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმებს.

სესხები და მისაღები ანგარიშები

2018 წლის 1 იანვრამდე სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია აისახება მოგებაში ან ზარალში საპროცენტო შემოსავლის მუხლში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან შეინარჩუნა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და არსებითი დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება გადაცემის ხელშეკრულების პირობებით და

გადაცემის ხელშეკრულებები ისეთი ოპერაციებია, როდესაც კომპანია ინარჩუნებს ფინანსური აქტივიდან („თავდაპირველი აქტივიდან“) ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს, მაგრამ იღებს სახელშეკრულებო ვალდებულებას, აღნიშნული ფულადი სახსრები გადაუხადოს ერთ ან მეტ საწარმოს („საბოლოო მიმღებს“), თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ ჩამოთვლილი სამივე პირობა:

- ▶ კომპანიას არა აქვს ვალდებულება, საბოლოო მიმღებ სუბიექტებს გადაუხადოს ზემოხსენებული ფულადი სახსრები, თუ იგი თავდაპირველი აქტივიდან ვერ მიიღებს ეკვივალენტური რაოდენობის თანხებს. ამ პირობის დარღვევას არ წარმოადგენს საწარმოს მიერ გაცემული მოკლევადიანი ავანსები, რომლებიც საშუალებას იძლევა, საწარმომ სრულად ამოიღოს გასესხებულ თანხას პლუს საბაზრო განაკვეთით განსაზღვრული დარიცხული პროცენტები;
- ▶ კომპანიას ეკრძალება თავდაპირველი აქტივის გაყიდვა ან დაგირავება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმო ამ აქტივს საბოლოო მიმღებ სუბიექტებს გადასცემს მათთვის ფულადი სახსრების გადახდის ვალდებულების უზრუნველყოფის სახით;
- ▶ საწარმოს გააჩნია ვალდებულება, საბოლოო მიმღები სუბიექტების სახელით ამოღებული ნებისმიერი ფულადი სახსრები არსებითი დაყოვნების გარეშე გადარიცხოს. გარდა ამისა, საწარმოს არა აქვს ასეთი ფულადი სახსრების რეინვესტირების უფლება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების რეინვესტირებას ახდენს მოკლევადიანი პერიოდით, რაც მოიცავს ფულადი სახსრების მიღების თარიღიდან საბოლოო მიმღები სუბიექტებისთვის მათი გადარიცხვის სავალდებულო თარიღამდე პერიოდს და, ამასთან, ასეთ ინვესტიციებზე მიღებული პროცენტები საბოლოო მიმღებ სუბიექტებს გადაეცემა.

(ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

გადაცემის აღიარების შეწყვეტა ხდება მხოლოდ მაშინ, თუ:

- ▶ კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი; ან
- ▶ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობების ან ისეთი მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობების საფუძველზე, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია მოდიფიკაციას არსებითად განიხილავს მაშინ თვისებრივ ფაქტორებზე დაყრდნობით და იმის მიხედვით, იწვევს თუ არა მინიმუმ 10%-იან სხვაობას ფინანსური ვალდებულების კორექტირებულ დისკონტირებულ დღევანდელ ღირებულებას და თავდაპირველ საბალანსო ღირებულებას შორის.

(ე) რესტრუქტურირებული და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები

2018 წლის 1 იანვრიდან ჯგუფი ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების აღიარებას წვეტს მაშინ, როდესაც მოლაპარაკების შედეგად პირობები იმდენად შეიცვალა, რომ საქმე არსებითად ახალ იჯარასთან გვაქვს, სხვაობის აღიარება კი ხდება აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგების ან ზარალის სახით, თუ გაუფასურების ზარალი უკვე ბუღალტრულად აღრიცხული არ არის. ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომლებიც ახლად აღიარებულია, მიეკუთვნება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შეფასების პირველ ეტაპს, თუ ახალი ფინანსური აქტივი არ მიიჩნევა შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებულად.

იმის შეფასებისას, მოახდინოს თუ არა ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა, კომპანია, სხვა ფაქტორებთან ერთად, ითვალისწინებს შემდეგ თვისებრივ ფაქტორებს:

- ▶ იჯარის ვალუტის ცვლილება;
- ▶ კონტრაქტის შეცვლა;
- ▶ გაუვიდა თუ არა ვადა სამართლებრივ ვალდებულებებს.

გარდა ამისა, ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნებისთვის კომპანია კონკრეტულად განიხილავს მოდიფიკაციების მიზანს. ფასდება, მოდიფიკაციას კომერციული მიზნები აქვს თუ კრედიტის რესტრუქტურირება. მოდიფიკაცია კომერციული მიზნების მქონედ ითვლება და, შესაბამისად აღიარების შეწყვეტა არ ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა უშუალოდ მოდიფიკაციამდე ხუთზე ნაკლებია.

(ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება ან ურთიერთგაქითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. ურთიერთგადაფარვის უფლების გამოყენება არ უნდა ხდებოდეს სამომავლო შემთხვევის დადგომის პირობით და ნებადართული უნდა იყოს:

- ▶ ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში;
- ▶ დეფოლტის შემთხვევაში; და
- ▶ კომპანიის და ყველა კონტრაქტის არაკრედიტუნარიანობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ეს პირობები, ზოგადად, არ სრულდება ძირითად საკლირინგო ხელშეკრულებებში და შესაბამისი აქტივები და ვალდებულებები მთლიანად არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

(ზ) ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების გაუფასურება ბასს 39-ის მიხედვით (2018 წლის 1 იანვრამდე)

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნების გაუფასურების მთლიანი რეზერვი კოლექტიურად ფასდება. კოლექტიურად შეფასებული გაუფასურების რეზერვი ფარავდა საკრედიტო ზარალს, რომელიც ახსიათებს ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, როდესაც არსებობდა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ისინი შეიცავდა გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს, მაგრამ ჯერ შეუძლებელი იყო ინდივიდუალურად გაუფასურებული ერთეულების იდენტიფიცირება. კოლექტიურად შეფასებული გაუფასურების რეზერვი ასევე ფარავდა ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების პორტფელის საკრედიტო ზარალს, რომელიც განისაზღვრა მინიმუმ 60 დღით ვადაგადაცილებულად. კოლექტიური ზარალის რეზერვის საჭიროების შეფასებისას კომპანიამ განიხილა ისეთი ფაქტორები, როგორიცაა დეფოლტის ალბათობა ან დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში. საჭირო რეზერვის შესაფასებლად გაკეთდა დაშვებები, რომ განსაზღვრულიყო, როგორ მოხდა დამახასიათებელი ზარალის მოდელირება და წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით დადგინდეს საჭირო ამოსავალი მონაცემების პარამეტრები. კოლექტიური გაუფასურების რეზერვის შესაფასებლად ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების ეს პორტფელი დაჯგუფდა ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით:

- ▶ მიმდინარე – კლიენტები, რომლებსაც არ აღენიშნებათ ვადაგადაცილებული გადახდები;
- ▶ 1-30 დღით ვადაგადაცილებული – კლიენტები, რომლებიც გადახდას 1-30 დღით აგვიანებენ;
- ▶ 31-60 დღით ვადაგადაცილებული – კლიენტები, რომლებიც გადახდას 31-60 დღით აგვიანებენ;
- ▶ გადაუხდელი – კლიენტები, რომლებსაც ხელშეკრულება შეუწყდათ და კლიენტები, რომლებიც გადახდას 60 დღეზე მეტი ხნით აგვიანებენ;
- ▶ არაუზრუნველყოფილი – კლიენტები, რომლებსაც ხელშეკრულება შეუწყდათ და არ აქვთ წარმოდგენილი უზრუნველყოფის საგანი.

ქვემოთ მოცემულია ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების კოლექტიური გაუფასურების ზარალის დასადგენად გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები:

დეფოლტის ალბათობა

- ▶ კომპანიამ დეფოლტის ალბათობის კოეფიციენტები გამოითვალა საანგარიშგებო თარიღამდე პორტფელის ბოლო 12 თვის ისტორიული მოძრაობის მატრიცების გამოყენებით.
- ▶ პორტფელის მოძრაობის მატრიცა ყოველ თვეს გამოითვლებოდა, სადაც ნაჩვენები იყო ზემოთ აღწერილი პორტფელის ჯგუფებს შორის მოძრაობა თვიდან თვემდე.
- ▶ 12-თვიანი ისტორიული მოძრაობიდან დეფოლტის ალბათობა გამოითვლებოდა მომდევნო 6 თვის მოძრაობის წინასწარი შეფასებით. ამის შედეგად მიიღებოდა პორტფელის თითოეული ჯგუფის დეფოლტის განაკვეთის ალბათობა.

(ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების გაუფასურება ბასს 39-ის მიხედვით (2018 წლის 1 იანვრამდე) (გაგრძელება)

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში

- ▶ კომპანია მკაცრად აკონტროლებდა ვადაგადაცილებული ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაფარვას და, მიღებული ფაქტობრივი დაფარვების საფუძველზე, ყოველთვიურად გადასინჯავდა დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების განაკვეთებს პორტფელისთვის.
- ▶ დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების გაანგარიშებისთვის შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული ნიმუშები შედგებოდა ფინანსური იჯარასთან დაკავშირებულ ყველა მოთხოვნისგან, რომლებზეც წარსულში შეწყვეტილი იქნა კონტრაქტები, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომლებზეც კონტრაქტები შეწყვეტის შემდეგ განახლდა. თუ სესხი განახლების შემდეგ ისევ წყდებოდა, ის კვლავ უბრუნდებოდა შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ ნიმუშებს.
- ▶ დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების წინასწარ შეფასებული განაკვეთი გამოიყენებოდა პორტფელის ყველა ჯგუფისთვის, არაუზრუნველყოფილი ჯგუფის გარდა. არაუზრუნველყოფილი ჯგუფის შემთხვევაში, საჭირო ხდებოდა ღირებულების შეფასება დამოუკიდებელი მესამე მხარის მიერ.

(თ) ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების გაუფასურება ფასს 9-ის მიხედვით (2018 წლის 1 იანვრამდე)

საკრედიტო რეიტინგის განსაზღვრა

კომპანიის მთავარი ბიზნეს აქტივები – ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები – საცალო ხასიათისაა, შესაბამისად, ისინი ჯგუფდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კოლექტიურად შესაფასებლად, რაც ძირითადად ხორციელდება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობაზე დაყრდნობით. ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების პორტფელის გასაანალიზებლად კომპანია დებიტორულ დავალიანებას კატეგორიებად ანაწილებს თითოეული დავალიანების ვადაგადაცილების მაჩვენებლის მიხედვით.

კომპანია მუდმივად აკონტროლებს ყველა აქტივს, რომლებზეც მოსალოდნელია საკრედიტო ზარალი. იმის დასადგენად, ინსტრუმენტს ან ინსტრუმენტების პორტფელს ეხება თუ არა 12-თვიანი საკრედიტო ზარალი ან აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, კომპანია აფასებს, მნიშვნელოვნად ხომ არ არის გაზრდილი საკრედიტო რისკი აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ. მსგავსი აქტივების ჯგუფზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კოლექტიურად შეფასებისას კომპანია ხელმძღვანელობს იმავე პრინციპებით, როგორებიცაა მაშინ, როდესაც აფასებს, მნიშვნელოვნად ხომ არ არის გაზრდილი მთელი პორტფელის საკრედიტო რისკი აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

კომპანია ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ანაწილებს შემდეგ კატეგორიებად:

- 1) არა ვადაგადაცილებული;
- 2) 35 დღემდე ვადაგადაცილებული;
- 3) 60 დღემდე ვადაგადაცილებული;
- 4) 60 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული.

(ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(თ) ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების გაუფასურება ფასს 9-ის მიხედვით (2018 წლის 1 იანვრამდე) (გაგრძელება)

ზემოაღნიშნულ პროცესზე დაყრდნობით, კომპანია აჯგუფებს თავის იჯარებს 1-ელ, მე-2 და მე-3 ეტაპებად, ქვემოთ აღწერილი წესით:

- ▶ პირველი ეტაპი: იჯარების თავდაპირველი აღიარებისას კომპანია ქმნის რეზერვს 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით. პირველი ეტაპისთვის კომპანია განიხილავს იჯარებს, რომლებიც არის მიმდინარე ან 35 დღემდე ვადაგადაცილებული. მეორე ეტაპად კლასიფიცირებული დაუფარავი დავალიანების პირველ ეტაპზე გადასანაცვლებლად ერთთვიანი აღდგენის პერიოდი გამოიყენება, სანამ აღნიშნული კრედიტი არ დააკმაყოფილებს პირველი ეტაპის ზოგად კრიტერიუმებს ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობასთან დაკავშირებით. დაუფარავი დავალიანებები პირველი ეტაპიდან სხვა ეტაპებზე გადაინაცვლებს, თუ ვეღარ დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს.
 - ▶ მეორე ეტაპი: როდესაც იჯარის წარმოშობის შედეგად საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, კომპანია ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. კომპანია მეორე ეტაპის იჯარებად, როგორც წესი, განიხილავს 35-60 ვადაგადაცილებული დღის მქონე იჯარებს დაუფარავი დავალიანებები მეორე ეტაპზე რჩება ერთთვიანი აღდგენის პერიოდით მაშინაც კი, თუ ამ პერიოდის განმავლობაში ისინი სხვაგვარად აკმაყოფილებენ პირველი ეტაპის ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს.
- კომპანიის დავალიანების ამოღების პრაქტიკის მიხედვით, თუ სესხი ვადაგადაცილებულია მინიმუმ 35 დღით, დავალიანების ამოღები პირები აქტიურად იწყებენ მუშაობას უზრუნველყოფის საგნის დასაკუთრებისთვის. შიდა სტატისტიკის მიხედვით, 34 ვადაგადაცილებულ დღემდე დავალიანების ამოღები გუნდი შეიძლება შეთანხმდეს კლიენტთან გადახდის დღეზე მომდევნო 14 კალენდარული დღის განმავლობაში. შესაბამისად, კომპანია 35 ვადაგადაცილებულ დღეს იჯარის პირველი ეტაპიდან მეორეზე გადატანისთვის საკმარის საფუძვლად განიხილავს.
- ▶ მესამე ეტაპი: იჯარები, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურებულად და გადაუხდელად მიიჩნევა. კომპანია ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებს.

კომპანია ფინანსური იჯარის ხელშეკრულებას შეუსრულებლად მიიჩნევს და გადაუხდელ იჯარას მიაკუთვნებს მესამე ეტაპს ყოველთვის, როდესაც მსესხებელი 60 დღით აგვიანებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხების გადახდას, ან როდესაც წყდება საიჯარო ხელშეკრულება.

დაუფარავი დავალიანებები მესამე ეტაპზე რჩება ერთთვიანი აღდგენის პერიოდით მაშინაც კი, თუ ამ პერიოდის განმავლობაში ისინი სხვაგვარად აკმაყოფილებენ მეორე ეტაპის ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს.

კომპანიის დაუფარავი დავალიანების თავისებური ხასიათის გამო, თვისებრივი შეფასება იმისა, არის თუ არა კლიენტი დეფოლტის (გადაუხდელობის) მდგომარეობაში, არ ხდება და, ამის განსაზღვრა, ძირითადად, ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს ეყრდნობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა

კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს გამოითვლის ალბათობის სცენარებზე დაყრდნობით, რათა შეაფასოს ფულადი სახსრების მოსალოდნელი დეფიციტი, რომელიც დისკონტირებულია ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. ფულადი სახსრების დეფიციტი არის სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად კომპანიისთვის გადასახდელ ფულად ნაკადებს და იმ ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებასაც კომპანია მოელოდა.

(ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(თ) ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების გაუფასურება ფასს 9-ის მიხედვით (2018 წლის 1 იანვრამდე) (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ და მისი ძირითადი კომპონენტებია:

- ▶ PD – დეფოლტის ალბათობა არის გარკვეული დროის განმავლობაში დეფოლტის დადგომის შესაძლებლობის შეფასება.
- ▶ EAD – დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება არის დავალიანების შეფასება დეფოლტის სამომავლო თარიღისთვის, საანგარიშგებო თარიღის შემდეგ დავალიანებაში მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით, რომელთა შორისაცაა დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებული თუ სხვა გადახდები.
- ▶ LGD – დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში არის დროის გარკვეულ მომენტში დეფოლტის დადგომის შემთხვევაში წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ეყრდნობა სხვაობას გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც კრედიტორი მოელის, მათ შორის უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის გზით. ჩვეულებრივ, გამოიხატება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების პროცენტის სახით.

მაქსიმალური ვადა, რომლისთვისაც საკრედიტო ზარალი გამოითვლება, არის ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო ვადა.

დეფოლტის ალბათობის და დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების დასადგენად გამოყენებული მნიშვნელოვანი განსჯა განხილულია მე-5 შენიშვნაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის სპეციფიკა შეჯამებულია ქვემოთ:

- ▶ პირველი ეტაპი: 12-თვიანი საკრედიტო ზარალი გამოითვლება, როგორც აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. კომპანია 12-თვიანი საკრედიტო ზარალის რეზერვს გამოითვლის საანგარიშგებო თარიღის შემდგომი 12 თვის განმავლობაში დეფოლტის დადგომის მოლოდინის საფუძველზე.
- ▶ ეს მოსალოდნელი 12-თვიანი დეფოლტის ალბათობები გამოიყენება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების პროგნოზზე, მრავლდება დეფოლტის მომენტისთვის მოსალოდნელ დაუფარავ დავალიანებაზე და დისკონტირდება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით.
- ▶ მეორე ეტაპი: როდესაც იჯარის წარმოშობის შედეგად საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, კომპანია ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. სპეციფიკა ზემოთ განმარტებულის მსგავსია, სხვადასხვა სცენარის გამოყენების ჩათვლით, მაგრამ დეფოლტის ალბათობები და დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში გამოითვლება ინსტრუმენტის მთელ ვადაზე. მოსალოდნელი ფულადი სახსრების დეფიციტი დისკონტირდება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით.
- ▶ მესამე ეტაპი: იჯარებისთვის, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურებულად მიიჩნევა, კომპანია აღიარებს მთლიან ვადაზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამ სესხებისთვის. ეს მეთოდი მეორე ეტაპის აქტივებისთვის გამოყენებული მეთოდის მსგავსია, მაგრამ დეფოლტის ალბათობა, ამ შემთხვევაში, 100%-ით არის განსაზღვრული.

რესტრუქტურულიზებული და მოდიფიცირებული იჯარებიდან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კლიენტების მიერ გადაუხდელობა (დეფოლტის სიტუაციაში მყოფი) ხელშეკრულების პირობების გადასახედად ასახული მოდიფიკაციების შედეგად აღნიშნული კლიენტები რჩებიან მესამე ეტაპზე ერთიანი აღდგენის პერიოდის განმავლობაში, რასაც მოჰყვება ორთვიანი აღდგენის პერიოდი მეორე ეტაპზე. თუ მოდიფიკაცია განხორციელდა საკრედიტო მიზეზებით დეფოლტამდე (როგორც წესი, ვადის გაგრძელების მიზეზით), დაუფარავი დავალიანება გადამინაცვლებს მეორე ეტაპზე ორთვიანი აღდგენის პერიოდის განმავლობაში.

პირობების შეცვლის შემდეგ ნებისმიერი გაუფასურება ფასდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც გაანგარიშებულია პირობების მოდიფიკაციამდე. ამ მუხლების კლასიფიკაცია მოხდება მეორე ეტაპის აქტივებად ორთვიანი აღდგენის პერიოდით, რაც ასახავს თავდაპირველი საკრედიტო რისკის ზრდას.

(ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(თ) ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების გაუფასურება ფასს 9-ის მიხედვით (2018 წლის 1 იანვრამდე) (გაგრძელება)

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების ჩამოწერა

2018 წლის 1 იანვრიდან ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ან ნაწილობრივ, ან მთლიანად მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანია შეწყვეტს ვალის ამოღების მცდელობებს, რადგან იგი სასამართლოს მიერ უიმედოდ ჩაითვლება. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდეგ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. ყოველგვარი შემდგომი ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას.

(ი) სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე სახარბიელო ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. გარდა ამისა, ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

(ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები და ფინანსური იჯარიდან მიღებული შემოსავლის აღიარება

იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად. გაყიდვისა და უკუიჯარის გარიგება გულისხმობს აქტივის შეძენას კომპანიის მიერ და იმავე აქტივის იმავე კლიენტზე უკუიჯარას. სიტუაციები, რომლებშიც იჯარის კლასიფიკაცია, ჩვეულებრივ, მოხდებოდა ფინანსურ იჯარად და გაყიდვის და უკუიჯარის გარიგებები, რომელთა შედეგადაც ფინანსური იჯარა წარმოიშობა, შემდეგია:

- ▶ იჯარა გადასცემს აქტივზე საკუთრების უფლებას იჯარის მიმღებს იჯარის ვადის ბოლოს;
- ▶ იჯარის მიმღებს უფლება აქვს აქტივი შეისყიდოს მოსალოდნელ სამართლიან ღირებულებაზე საკმაოდ ნაკლებ ფასად ამ უფლების ამოქმედების თარიღისთვის, თუ იჯარის გაცემის მომენტში არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ ეს უფლება გამოყენებული იქნება;
- ▶ იჯარის ვადა ემთხვევა აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის დიდ ნაწილს მაშინაც, თუ არ გადაიცემა საკუთრების უფლება;
- ▶ იჯარის დასაწყისში მინიმალური საიჯარო გადასახდელების თანხების დღევანდელი ღირებულების დისკონტირება ხდება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით.
- ▶ იჯარით გადაცემული აქტივები სპეციფიკური ხასიათისაა, ამიტომ მხოლოდ იჯარის მიმღებს შეუძლია მათი გამოყენება მათში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის გარეშე.

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების აღიარება ხდება საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის იჯარაზე მისაღები მინიმალური თანხების დისკონტირებული ღირებულებით. სხვაობა ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების ბრუტო და ნეტო ოდენობას შორის არის გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი და გაუფასურების რეზერვი. ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული შემოსავალი სააღრიცხვო პერიოდებზე ნაწილდება, რომ ასახოს მუდმივი პერიოდული უკუგების კოეფიციენტი კომპანიის მიმდინარე იჯარასთან დაკავშირებულ წმინდა ინვესტიციაზე. თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები, რომლებიც შეიცავს გაცემის საკომისიოებს, შესულია ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების პირველად შეფასებაში. კლიენტებისგან მიღებული ავანსები აღიარებულია სხვა ვალდებულებებში (მე-18 შენიშვნა) მათი მიღებისთანავე და გაიქვითება ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან საიჯარო ხელშეკრულების გრაფიკის მიხედვით ყოველი მომდევნო თვის ანგარიშგაქტურის გაცემისას.

(ლ) შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი სრულად არის წარმოდგენილი ფინანსურ იჯარიდან შემოსავალში. იხილეთ მე-3 (ვ) შენიშვნა ზემოთ.

ყველა სავალო ინსტრუმენტის საპროცენტო აღრიცხვა დარიცხვის მეთოდით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული მეთოდით ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილი ყველა საკომისიო, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების დანახარჯებისა და სხვა პრემიებისა თუ დისკონტების განუყოფელ ნაწილს, გადავადდება საპროცენტო ხარჯის სახით.

შემოსავალი დავალიანების ამოღების ღონისძიებებიდან და მიღებული ჯარიმები

დავალიანების ამოღების ღონისძიებებიდან და ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ მომენტში, როდესაც ასეთი მომსახურებების ანაზღაურების დაფარვის ალბათობა მაღალია, შესაბამისად, შემოსავლის აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც გაწეულ მომსახურებაში ფაქტობრივი გადახდა ფაქტობრივად მიიღება. ჯარიმებიდან შემოსავალი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კლიენტები არღვევენ საიჯარო ხელშეკრულების პირობებს, მაგალითად, გადააცილებენ გადახდის თარიღს. ასეთ სიტუაციებში კომპანიას უფლება აქვს კლიენტებს ჯარიმები დააკისროს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. კომპანია ჯარიმებიდან შემოსავალს აღიარებს ფულადი სახსრების მიღების მომენტში, ვინაიდან გადახდის ალბათობა და დრო დაუზუსტებელია. თუ კლიენტები არ დაფარავენ ჯარიმის თანხას, კომპანიას უფლება აქვს, გამოიყენოს იძულებითი ღონისძიებები და დაისაკუთროს უზრუნველყოფის საგანი.

(ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ლ) შემოსავლის და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

შემოსავალი დავალიანების ამოღების ღონისძიებებიდან, როგორც წესი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კლიენტები გადახდას აგვიანებენ. კომპანიის შემოსავალი მოიცავს კომპანიის მიერ დავალიანების მართვასთან დაკავშირებით გაწეული შიდა და გარე ხარჯების ანაზღაურებას, იურიდიულ ხარჯებს, ასევე ავტომატური დასაკუთრების ხარჯს, საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, რომელიც გადანაწილდება კლიენტებზე ხელშეკრულების პირობების თანახმად. დავალიანების ამოღებიდან შემოსავლის აღიარება ხდება ნეტო (აგენტი) საფუძველზე, რადგან ეს თანხები გადანაწილდება კლიენტებზე ხელშეკრულების პირობების თანახმად და კომპანია ამ მომსახურებას არ აკონტროლებს კლიენტებისთვის მათ გადაცემამდე. სახელშეკრულებო ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება მაშინ, როდესაც შესაბამისი მომსახურება გადანაწილდება კლიენტზე, საიჯარო ხელშეკრულების გრაფიკის მიხედვით ყოველი მომდევნო თვის ანგარიშგაქტურის გაცემისას.

(მ) გასაყიდად გამიზნული სხვა აქტივები

გასაყიდად გამიზნული სხვა აქტივები შედგება დასაკუთრებული უზრუნველყოფისგან. აქტივების თავდაპირველი აღიარება ხდება მათი შეძენისას, სესხის დარჩენილი ღირებულებით. ამის შემდეგ გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები ფასდება საბალანსო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული რეალიზაციაზე დანახარჯები) შორის უმცირესით. გრძელვადიანი აქტივები გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას იმ შემთხვევაში მიეკუთვნება, თუ მათი საბალანსო ღირებულების ამოღება ძირითადად გაყიდვის ოპერაციიდან და არა მათი უწყვეტი გამოყენებით მოხდება. ეს პირობა შესრულებულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ გაყიდვის მაღალი ალბათობა არსებობს და აქტივი არსებულ მდგომარეობაში ხელმისაწვდომია დაუყოვნებლივ გასაყიდად. ხელმძღვანელობს მტკიცედ უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილი გაყიდვა და გაყიდვა დასრულებულ ოპერაციად უნდა აღირიცხოს გრძელვადიანი აქტივის გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში.

(ნ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში, ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში და საბანკო ანაზღაურებს 90 დღემდე ვადით.

(ო) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. თუ კომპანია მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ყოველგვარი ანაზღაურების გამოკლებით.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

(ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) გადასახადები

(i) მოგებიდან გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადის დავალიანება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

(ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებითი ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- ▶ დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში. გარკვეული დამატებითი ღირებულების გადასახადის თანხა, რომელიც წარმოიშვა 2006 წლამდე, მხოლოდ მაშინ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას თუ მიიღება ან ჩამოიწერება შესაბამისი დებიტორული დავალიანება. ასეთი დამატებითი ღირებულების გადასახადი აღირიცხება, როგორც გადავადებული დამატებითი ღირებულების გადასახადი ნომინალური გადასახდელი ოდენობით.

(ჟ) დივიდენდების განაწილება

კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილების აღიარება ხდება ვალდებულების სახით კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები მტკიცდება კომპანიის მფლობელის მიერ.

(რ) ოპერაციები პირინგულ პლატფორმებთან

ზოგადი ინფორმაცია

კომპანიას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის შეთანხმება პირინგული (P2P) საინვესტიციო ინტერნეტ პლატფორმის ოპერატორთან. თანამშრომლობის შეთანხმებები და მათთან დაკავშირებული უფლების დათმობის ხელშეკრულებები ძალაშია მანამ, სანამ მხარეები შეთანხმდებიან მათ შეწყვეტაზე. თანამშრომლობის შეთანხმების მიზანი კომპანიისთვის არის დაფინანსების მოზიდვა P2P პლატფორმის მეშვეობით.

(ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(რ) ოპერაციები პირინგულ პლატფორმებთან (გაგრძელება)

P2P ინდივიდუალურ და კორპორატიულ ინვესტორებს საშუალებას აძლევს, მიიღონ პროცენტის და ძირითადი თანხის სრული პროპორციული ფულადი ნაკადები კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო ინსტრუმენტებიდან წინასწარი გადახდის სანაცვლოდ. ეს უფლებები განისაზღვრება ინვესტორებსა და P2P პლატფორმას შორის უფლების დათმობის ხელშეკრულებებით, რომელშიც ეს უკანასკნელი გამოდის კომპანიის სახელით აგენტად. უფლების დათმობის ხელშეკრულებების ორი ტიპი არსებობს:

- 1) ხელშეკრულებები კომპენსაციის მოთხოვნის უფლებით, რომლებითაც კომპანიას ევალება ინვესტორის მიერ დაბანდებული ფულადი სახსრების მთლიანად გადახდის გარანტირება, თუ კომპანიის კლიენტი ვერ შეასრულებს გადახდის ვალდებულებას (გამოსყიდვის გარანტია);
- 2) ხელშეკრულებები კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე, რომლებითაც კომპანიას არ ევალება ინვესტორის მიერ დაბანდებული ფულადი სახსრების გადახდის გარანტირება, თუ კლიენტი ვერ შეასრულებს გადახდის ვალდებულებას (გამოსყიდვის გარანტიის გარეშე);

კომპანიას მხოლოდ პირველი ტიპის ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული ინვესტორებთან.

პირინგული პლატფორმების მეშვეობით მოზიდული ფულადი სახსრები

უფლების დათმობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც წარმოადგენს ინვესტორებისგან მიღებულ საზღაურს გამოკლებული სესხის გაცემასთან დაკავშირებული დანახარჯები.

ინვესტორების მიმართ ვალდებულებების აღიარება ხდება ნასესხებ სახსრებში (17-ე შენიშვნა) და აღირიცხება, როგორც მიღებული სესხები.

უფლები დათმობა კომპენსაციის მოთხოვნის უფლებით კომპანიას აძლევს კომპენსაციის პირდაპირ მოთხოვნის უფლებას, ამრიგად, არ აკმაყოფილებს ფასს 9-ის შესაბამისად გადაცემის ხელშეკრულებად კლასიფიცირების მოთხოვნებს.

აქედან გამომდინარე, კომპანიის შესაბამისი სავალო ინსტრუმენტები არ ჩაითვლება ნაწილობრივ აღიარებაშეწყვეტილად და ინვესტორებისთვის გადახდილი საპროცენტო ხარჯი აისახება ბრუტო ოდენობით საპროცენტო ხარჯში (მე-6 შენიშვნა).

(ს) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე- და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე- და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია ისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

(ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ს) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე- და გრძელვადიანად (გაგრძელება)

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

კომპანიამ პირველად გამოიყენა ფასს 15, ფასს 9 და ამ სტანდარტებში შესული გარკვეული ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს და მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ახალი სააღრიცხვო სტანდარტების მიღება შემდეგი ხასიათისა და გავლენის მქონე ცვლილებებს განაპირობებს.

ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“

ფასს 15 გამოიცა 2014 წლის მაისში და განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. თუმცა, სტანდარტი არ ეხება იჯარასთან დაკავშირებულ შემოსავალს, და ამიტომ არ ახდენს გავლენას კომპანიის შემოსავლის დიდ ნაწილზე, რომელიც წარმოდგენილია საიჯარო შემოსავლით და რომელზეც ვრცელდება ბასს 17 „იჯარა“. სტანდარტის დანერგვას არ უმოქმედია შემოსავალზე, ფინანსური იჯარიდან მიღებული შემოსავლის გარდა. ამის გამო, ფასს 15-ის მიღება მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

ფასს (IFRS) 9 ჩანაცვლებს ბასს (IAS) 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიას არ გადაუანგარიშებია 2017 წლის შედარებადი ინფორმაცია ფასს 9-ის მოქმედების არეალში მოქცეული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. ამიტომ 2017 წლის შედარებადი ინფორმაცია გაცხადებულია ბასს 39-ის შესაბამისად და არ ედრება 2018 წლისთვის წარმოდგენილ ინფორმაციას. ფასს 9-ის მიღების შედეგად წარმოშობილი სხვაობები პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაშია აღიარებული 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და მოცემულია ქვემოთ:

(ა) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით, ყველა სავალო ფასიანი ქაღალდი, რომელიც არ აკმაყოფილებს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის“ (SPPI) კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში. ამ კრიტერიუმის თანახმად, სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც არ შეესაბამება „დაკრედიტების ძირითად სქემას“, მაგალითად, ინსტრუმენტები, რომლებიც შეიცავს კონვერტაციის ჩართულ ოფციონს ან „რეგრესის უფლების არმქონე სესხები“ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. სავალო ფინანსური აქტივების შემთხვევაში, რომლებიც აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას მათი კლასიფიკაცია განისაზღვრება იმ ბიზნესმოდელის საფუძველზე, რომლითაც იმართება ეს ინსტრუმენტები:

- ▶ ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით;
- ▶ ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“, ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- ▶ ინსტრუმენტები, რომლებიც იმართება სხვა საფუძველზე, მათ შორის სავაჭრო ფინანსური აქტივები, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

(ლარი)

4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გაგრძელება)

წილობრივი ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირებული უნდა იქნეს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ხდება ინსტრუმენტების შეუქცევადი კლასიფიცირება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, გარდა დივიდენდის სახით შემოსვლისა, აღიარებული უნდა იქნეს სხვა სრულ შემოსავალში, მოგებაში ან ზარალში შემდგომი გადატანის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება მეტწილად უცვლელი რჩება და არ განსხვავდება არსებული ბასს 39-ის მოთხოვნებისგან. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები კვლავაც შეფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები აღარ არის გამოიჯნული დაკავშირებული ფინანსური აქტივისგან.

(ბ) გაუფასურება

ფასს 9-ის მიღებამ საფუძვლიანად შეცვალა კომპანიის მიერ ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების აღრიცხვა, რადგან ბასს 39-ის განცდილი ზარალის მიდგომა ჩაანაცვლა საპროგნოზო (მომავალზე ორიენტირებული) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით. 2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ქმნის ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნისთვის და სხვა სავალ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფასს 9-ის მიხედვით, წილობრივი ინსტრუმენტები არ ექვემდებარება გაუფასურებას.

რეზერვი ეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, თუ სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივის განმარტებას, მაშინ რეზერვი დაეყრდნობა აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებას. კომპანიის გაუფასურების დარიცხვის მეთოდი განხილულია მე-3 შენიშვნაში. ფასს 9-ის გამოყენების რაოდენობრივი გავლენა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ, (გ) თავში.

(გ) ფასს 9-ზე გადასვლის ეფექტი

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია ფასს 9-ის მიღების გავლენა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა და გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მათ შორის ბასს 39-ის მიხედვით გაწეული საკრედიტო ზარალის გაანგარიშების ფასს 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით ჩანაცვლების ეფექტი.

ბასს 39-ის მიხედვით საბალანსო ღირებულებების და ფასს 9-ის მიხედვით გაცხადებული ნაშთების 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეჯერების შედეგი ასეთია:

ბასს 39-ის მიხედვით შეფასება				ფასს 9		
მითითება	კატეგორია	აქციების ღირებულება	გაუფასურების გადაანგარიშებით გამოწვეული კორექტირება*		აქციების ღირებულება	კატეგორია
ფინანსური აქტივები						
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	ა	L&R ¹	1,476,453	—	1,476,453	ამორტიზებული ღირებულება
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები						
	ბ	ნული ²	48,239,321	460,928	48,700,249	ნული
სულ აქტივები, რომლებზეც ფასს 9-მ იმოქმედა			49,715,774	460,928	50,176,702	

¹ L&R: სესხები და მისაღები ანგარიშები.

² ნული: წმინდა ინვესტიცია იჯარაში.

(ლარი)

4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გაგრძელება)

- ა როგორც კომპანიამ დაასკვნა, 2018 წლის 1 იანვრისთვის ყველა ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმებს და, ზიზნესმოდელის მიხედვით, მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით. შესაბამისად, ის ფინანსური აქტივები, რომლებიც ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდებოდა, როგორც სესხები და მისაღები ანგარიშები და შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, ფასს 9-ის მიხედვით კომპანიის მიერ კვლავაც კლასიფიცირებულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.
- ბ ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე ვრცელდება მხოლოდ ფასს 9-ის ის მოთხოვნები, რომლებიც ეხება აღიარების შეწყვეტას და გაუფასურებას. 2018 და 2017 წლებში ისინი უტოლდება წმინდა ინვესტიციას იჯარაში.

ფასს 9-ზე გადასვლის გავლენა გაუნაწილებელ მოგებაზე ასეთია:

	გაუნაწილებელი მოგება
საბოლოო ნაშთი ბასს 39-ის მიხედვით (2017 წლის 31 დეკემბერი)	14,177,298
ფასს 9-ის მიხედვით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება	460,928
ფასს 9-ის მიხედვით გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი (2018 წლის 1 იანვარი)	14,638,226
მთლიანი ცვლილება საკუთარ კაპიტალში ფასს 9-ის მიღების გამო	460,928

ქვედა ცხრილში ერთმანეთთან შეჯერებულია სესხებზე შესაძლო დანაკარგების აგრეგირებული საწყისი რეზერვი ბასს 39-ის მიხედვით და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფასს 9-ის მიხედვით.

	გაუფასურების რეზერვი ბასს 39-ის მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბერს	ხელახალი შეფასება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასს 9-ის მიხედვით 2018 წლის 1 იანვარს
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	11,276,942	(460,928)	10,816,014

კომპანიამ ახალი სტანდარტი მიიღო მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდით. იგი გადასვლის კუმულაციურ ეფექტს აღიარებს საწყის გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1 იანვარს და არ გადაიანგარიშებს შედარებად ინფორმაციას.

ფასიკ (IFRIC) ინტერპრეტაცია 22 „ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად“

ეს ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ინტერპრეტაციის თანახმად, წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) პირველადი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არაერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, საწარმომ თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე უნდა განსაზღვროს ოპერაციის თარიღი. ვინაიდან კომპანიის ამჟამინდელი პრაქტიკა ინტერპრეტაციასთან შესაბამისობაშია, ამ ინტერპრეტაციის გამოყენებას გავლენა არ მოუხდენია მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2018 წლის იანვრიდან ძალაში არ შესულა სხვა ახალი სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც გავლენას მოახდენდა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ლარი)

4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებითი შენიშვნებში (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისთვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენენ კომპანიაზე, ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება:

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განესაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა – სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარმოდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამოწვევას: მოიჯარეებისთვის – „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებული არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე, ზოგადად, საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას. მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, რომელსაც ბასს 17 იყენებს, და გამოიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16 როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება სრული რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

კომპანია ფასს 16-ის მიღებას აპირებს რეტროსპექტულად, ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენების ჯამური (კუმულაციური) ეფექტით, რომელიც აღიარებულია თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის. ფასს 16 არ ითვალისწინებს რამე მნიშვნელოვან ცვლილებებს მეიჯარის ბუღალტრული აღრიცხვისთვის და, ვინაიდან კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები, რომლებშიც მოიჯარედ გამოდის, იგი არ მოელის, რომ ფასს 16 საგრძნობ გავლენას იქონიებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისად მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენს აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების გაცხადებულ თანხებზე და პირობით ვალდებულებებზე. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული შეფასებების მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება მოწყობითი სამუშაოების კაპიტალიზაციას, ცვეთასა და ამორტიზაციას, დასაკუთრებული უზრუნველყოფის შეფასების სამართლიან ღირებულებას და გაუფასურების დადგენას. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ცოდნას არსებული მოვლენებისა და ქმედებების შესახებ, ბოლოს მიღებული ფაქტობრივი შედეგი შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

(ლარი)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების გაუფასურება

გაუფასურების ზარალის შეფასება ფასს 9-ის შესაბამისად მისი მოქმედების არეალში მოქცეული ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიისთვის საჭიროებს განსჯის გამოყენებას, კერძოდ, სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობისა და ვადების და უზრუნველყოფის საგნის ღირებულებების პროგნოზირებას გაუფასურების ზარალის განსაზღვრისას და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებას. ეს პროგნოზები ეყრდნობა რამდენიმე ფაქტორს, რომელთა ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს რეზერვების სხვადასხვა დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაანგარიშებლად კომპანია იყენებს კომპლექსურ მოდელებს, რომლებიც ეყრდნობა რამდენიმე დაშვებას ცვლადი მონაცემების არჩევასთან და მათ ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების ის ელემენტები, რომლებიც ითვლება ბუღალტრული აღრიცხვის განსჯად და შეფასებად, მოიცავს დეფოლტის ალბათობას და დანაკარგებს დეფოლტის შემთხვევაში. განსჯა ასევე გამოიყენება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის განსაზღვრისას.

დეფოლტის ალბათობა (PD)

დეფოლტის ალბათობა არის გარკვეული დროის განმავლობაში დეფოლტის დადგომის შესაძლებლობის შეფასება.

დეფოლტის ალბათობის შესაფასებლად კომპანია იყენებს „როლოვერის“ განაკვეთის (ანუ განაკვეთს, რომლის მიხედვითაც მოთხოვნების გადანაწილება ხდება ვადაგადაცილებული დღეების სხვადასხვა კატეგორიაზე) მეთოდს, შესაბამისად, მარკოვის ჯაჭვებს, რათა შეაფასოს დეფოლტის ალბათობა. ეს მეთოდი გამოიყენებს ისტორიული მონაცემების, ასევე გადაუხდელობის და დეფოლტის გამოცდილების ანალიზს, რათა განსაზღვროს იჯარები, რომლებიც საბოლოოდ ჩამოიწერება. დეფოლტის ალბათობის გაანგარიშებისას კომპანია ეყრდნობა ბოლო 12 თვის სტატისტიკას, ვინაიდან ეს ინფორმაცია ყველაზე ზუსტად ასახავს როგორც დაკრედიტების, ისე დეფოლტის ტენდენციებს და ამავდროულად იძლევა დაკვირვებადი მონაცემების საკმარის რაოდენობას. დაუფარავი დავალიანებები იყოფა ვადაგადაცილებული დღეების ჯგუფების იჯარებად და გამოიყენება სტატისტიკური ანალიზი თითოეულ ჯგუფში მოქცეული იჯარების დეფოლტის სიტუაციაში აღმოჩენის ალბათობის შესაფასებლად.

საპროგნოზო ინფორმაციის ჩართვა დეფოლტის ალბათობებში

2018 წლის 1 იანვრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დეფოლტის ალბათობის განსაზღვრაში საპროგნოზო ინფორმაციის ჩართვის გავლენის მოდელირებისას კომპანიამ გამოიკვლია ფართო სპექტრის საპროგნოზო ინფორმაცია, როგორც ეკონომიკური ამოსავალი მონაცემები. როგორც აღმოჩნდა, სხვადასხვა ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირშია ცალკეული ქვეყნის დეფოლტის ალბათობის მონაცემებთან. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული ამოსავალი მონაცემები და მოდელები შეიძლება ყოველთვის არ ასახავდეს ბაზრის ყველა მახასიათებელს ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის.

კომპანია იყენებს გარე წყაროებისგან მიღებულ მონაცემებს. კომპანიის შიდა სტატისტიკოსები ამოწმებენ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში გამოყენებული ამოსავალი მონაცემების სიზუსტეს და განსაზღვრავენ სხვადასხვა სცენარისთვის მისანიჭებელ წონებს. ქვედა ცხრილში წარმოდგენილია მოსალოდნელი ზარალის მთავარი გამომწვევი ფაქტორები და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია კომპანიის საბაზისო და ალტერნატიული სცენარების შეფასებაში და მათი წონები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	საბაზისო სცენარი	პესიმისტური სცენარი	ოპტიმისტური სცენარი
წონები	40%	30%	30%
მშპ-ის ზრდა	4.60%	3.70%	5.50%
ინფლაციის ტემპი	3.00%	4.50%	1.50%
უმუშევრობის დონე	13.70%	14.80%	12.60%

(ლარი)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების გაუფასურება (გაგრძელება)

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში

კომპანია მკაცრად აკონტროლებს ვადაგადაცილებული ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაფარვას და, მიღებული ფაქტობრივი დაფარვების საფუძველზე, ყოველთვიურად გადასინჯავს დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების განაკვეთებს პორტფელისთვის.

- ▶ დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების გაანგარიშებისთვის შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული ნიმუშები შედგება ფინანსური იჯარასთან დაკავშირებულ ყველა მოთხოვნისგან, რომლებზეც წარსულში შეწყვეტილი იქნა კონტრაქტები, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომლებზეც კონტრაქტები შეწყვეტის შემდეგ განახლდა. თუ ფინანსური იჯარის ხელშეკრულება განახლების შემდეგ ისევ შეწყდება, ის ისევ გადინაცვლებს შეწყვეტილი ხელშეკრულებების პოპულაციაში და არ ჩაითვლება გამოსწორებულად. ეს ასახავს ცვლილებას ბასს 39-ის გამოყენებიდან, კერძოდ იმ ფაქტების ერთობლიობას, რომ დეფოლტის ალბათობის დონეები საპროგნოზო და კომპანიაში, როგორც წესი, გამოსწორებული იჯარების უფრო დიდი მაჩვენებელია.
- ▶ განახლებული იჯარები ასევე მოქმედებს დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების მაჩვენებელზე, რადგან შეიცავს ხელშეკრულების განახლების შემდეგ ამოღებულ ფულად სახსრებს და ადარებს მას შემდგომში განახლებული ხელშეკრულებების დეფოლტის მომენტში დაუფარავ დავალიანებას, რაც გულისხმობს გამოსწორების მაჩვენებელს.
- ▶ დეფოლტის შემთხვევაში სავარაუდო დანაკარგების დონე გამოიყენება პორტფელის ყველა ჯგუფისთვის, გარდა დეფოლტის სიტუაციაში არსებული პორტფელის არაუზრუნველყოფილი ნაწილისა. პორტფელის არაუზრუნველყოფილი ნაწილისთვის გამოიყენება დამოუკიდებელი მესამე მხარის მიერ მოთხოვნის უფლების დათმობის შეთავაზებების შეფასება.

განახლებული იჯარების პორტფელის გამოსწორების მაჩვენებელი 100%-ს შეადგენს.

გამოსწორების მაჩვენებელი განახლებული ხელშეკრულებებიდან გამოითვლება სამწლიანი პერიოდისთვის. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული გაუფასურების მიზნებისთვის, 91%-იანი გამოსწორების მაჩვენებელი დაფიქსირდა და გამოყენებული იქნა შემდგომში განახლებული დეფოლტის სიტუაციაში მყოფი პორტფელის ნაწილისთვის.

2018 წლის 1 იანვრისთვის გაუფასურების მიზნებისთვის დაფიქსირდა 95%-იანი გამოსწორების მაჩვენებელი და გამოყენებული იქნა დეფოლტის სიტუაციაში არსებული და შემდგომში განახლებული პორტფელის ნაწილისთვის. განახლების გამოსწორების მაჩვენებელი გამოიყენება მხოლოდ საიჯარო პორტფელისთვის, სადაც გამოსწორება ხდება ხშირად და წარმოადგენს საიმედო სქემას, კომპანიის დაკრედიტების გამოცდილებიდან გამომდინარე. განახლებული პორტფელის გამოსწორების მაჩვენებელი არ გამოიყენება სესხებისთვის.

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების მოდელირება

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების მოდელირება ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის იჯარის და სასესხო მოთხოვნების დაუფარავი ნაშთის დაკორექტირებით მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი დაფარვების მიხედვით პირველი ეტაპის დავალიანებების შემთხვევაში, ხოლო მეორე ეტაპის დავალიანებებისთვის 12 თვის შემდგომი პერიოდი გამოიყენება. ეს ხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფარვის გრაფიკების საფუძველზე და კორექტირდება ისტორიული წინსწრებით გადახდების მაჩვენებლით. ისტორიული წინსწრებით გადახდები ითვლება სარწმუნო ინფორმაციად სამომავლო დაფარვების პროგნოზირებისთვის.

(ლარი)

6. საპროცენტო ხარჯი

	2018	2017 (რეკლასიფი- ცირებული)
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი		
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯი (მე-19 შენიშვნა)	5,823,978	5,558,821
P2P პლატფორმის ინვესტიორებისგან მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯი	883,332	–
ბანკებისგან მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯი	198,435	–
სულ საპროცენტო ხარჯები	6,905,745	5,558,821

7. გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯი

	2018	2017
მარკეტინგის ხარჯი	695,016	735,796
გაყიდვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯი	28,411	38,716
სულ გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯი	723,427	774,512

8. ადმინისტრაციული ხარჯი

	2018	2017
თანამშრომლების ხელფასები	2,738,469	1,468,383
ოფისისა და ფილიალების ტექნიკური მომსახურების ხარჯები	1,074,755	703,704
მართვის მომსახურება (მე-19 შენიშვნა)	823,526	–
ამორტიზაცია და ცვეთა	218,296	201,649
საკრედიტო მონაცემთა ბაზის ხარჯები	215,770	143,596
საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურება	191,921	119,469
ბანკის მომსახურების საკომისიო	113,476	105,562
მანქანის ტექნიკური მომსახურება / მომსახურების ხარჯები	100,823	–
პროფესიული მომსახურება	93,477	125,228
კომუნიკაციის ხარჯები	85,427	69,046
თანამშრომლებზე გაწეული სხვა ხარჯი	50,787	28,244
დაზღვევა	23,592	67,747
დაბალი ღირებულების აღჭურვილობის ხარჯი	12,956	3,779
ტრანსპორტირების ხარჯი	7,663	9,858
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	101,808	120,968
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	5,852,746	3,167,233

9. სხვა საოპერაციო შემოსავალი

2018 წელს კომპანიამ შეცვალა საიჯარო ხელშეკრულების პირობები და დაიწყო იჯარასთან დაკავშირებული ქონების გადასახადის ხარჯის კლიენტებზე გადანაწილება. შესაბამისად, 2018 წლის სხვა საოპერაციო შემოსავალი, ძირითადად, შედგება კლიენტების მიერ ქონების გადასახადის ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებული შემოსავლისგან.

(ლარი)

10. სხვა საოპერაციო ხარჯი

	2018	2017 (რეკლასიფი- ცირებული)
ქონების გადასახადი	767,182	480,865
დასაკუთრებული მანქანების გაუფასურება	353,839	419,544
სხვა საოპერაციო ხარჯი	65,716	24,651
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	1,186,737	925,060

11. ძირითადი საშუალებები

	აღჭურვილობა	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	სულ
თვითღირებულება			
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	701,391	66,899	768,290
შემოსვლები	122,915	8,440	131,355
გასვლები	(29,957)	(688)	(30,645)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	794,349	74,651	869,000
შემოსვლები	321,137	28,000	349,137
გასვლები	(27,226)	(37,498)	(64,724)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,088,260	65,153	1,153,413
დაგროვილი ცვეთა			
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(318,554)	(36,408)	(354,962)
წლის დანარიცხი	(159,717)	(20,096)	(179,813)
გასვლები	334	45	379
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(477,937)	(56,459)	(534,396)
წლის დანარიცხი	(173,643)	(20,704)	(194,347)
გასვლები	16,999	28,005	45,004
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(634,581)	(49,158)	(683,739)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	316,412	18,192	334,604
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	453,679	15,995	469,674

(ლარი)

12. ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები, მთლიანი	77,226,464	59,516,263
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(21,430,362)	(11,276,942)
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები, წმინდა	55,796,102	48,239,321

	31 დეკემბერი, 2018 წ.		
	მინიმალური საიჯარო გადასახდელები	გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები, მთლიანი
ერთ წლამდე	66,316,666	21,520,334	44,796,332
2-დან 5 წლამდე, გაერთიანებული	25,063,366	23,890,851	1,172,515
5 წელზე მეტი	31,411,862	154,245	31,257,617
	122,791,894	45,565,430	77,226,464

	31 დეკემბერი, 2017 წ.		
	მინიმალური საიჯარო გადასახდელები	გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები, მთლიანი
ერთ წლამდე	47,936,925	18,065,658	29,871,267
2-დან 5 წლამდე, გაერთიანებული	59,228,006	33,053,739	26,174,267
5 წელზე მეტი	6,895,846	3,425,117	3,470,729
	114,060,777	54,544,514	59,516,263

	გრძელვადიანი 31 დეკემბერი, 2018 წ.	მიმდინარე 31 დეკემბერი, 2018 წ.	გრძელვადიანი 31 დეკემბერი, 2017 წ.	მიმდინარე 31 დეკემბერი, 2017 წ.
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	31,383,306	45,148,878	34,994,679	23,458,955
დარიცხული პროცენტი და დამუშავების საკომისიო	–	1,563,895	–	1,400,543
სესხის გაცემისას გადახდილი და მიღებული საკომისიო	(355,771)	(513,844)	(171,117)	(166,797)
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(8,767,501)	(12,662,861)	(5,710,537)	(5,566,405)
სულ ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები, წმინდა	22,260,034	33,536,068	29,113,025	19,126,296

(ლარი)

12. ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები (გაგრძელება)

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია საკრედიტო ხარისხი და დაუფარავი დავალიანების მაქსიმალური მოცულობა ვადაგადაცილებული დღეებისა და წლის ბოლოსთვის ეტაპებად კლასიფიკაციას მიხედვით. კომპანიას არ აქვს შიდა საკრედიტო რეიტინგის სისტემა. წარმოდგენილი თანხები შეიცავს გაუფასურების რეზერვს.

	2018			2017	
	პირველი ეტაპი	მეორე ეტაპი	მესამე ეტაპი	სულ	სულ
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები					
არა ვადაგადაცილებული	32,944,628	–	–	32,944,628	35,245,500
35 დღემდე ვადაგადაცილებული	10,346,058	7,497,138	–	17,843,196	10,768,700
60 დღემდე ვადაგადაცილებული	–	–	–	–	952,999
60 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული	–	–	26,438,640	26,438,640	12,549,064
სულ მთლიანი ოდენობა	43,290,686	7,497,138	26,438,640	77,226,464	59,516,263

	არა ვადაგადაცილებული და არა გაუფასურებული					
	მაღალი შეფასება	სტანდარტული შეფასება	სტანდარტულზე დაბალი შეფასება	ვადაგადაცილებული მაგრამ არა გაუფასურებული	ინდივიდუალურად და გაუფასურებული	სულ
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მთლიანი)						
2017	46,429,148	952,269	–	–	12,134,846	59,516,263

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების მთლიან საბალანსო ღირებულებასა და შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებში შესული ცვლილებების ანალიზი:

	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები		
	31 დეკემბერი, 2018 წ.	ცვლილება პერიოდის განმავლობაში	1 იანვარი, 2018 წ.
პირველი ეტაპი	43,290,686	673,574	42,617,112
მეორე ეტაპი	7,497,138	3,170,886	4,326,252
მესამე ეტაპი	26,438,640	13,865,741	12,572,899
სულ მთლიანი ოდენობა	77,226,564	17,710,301	59,516,263

	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი		
	31 დეკემბერი, 2018 წ.	ცვლილება პერიოდის განმავლობაში	1 იანვარი, 2018 წ.
პირველი ეტაპი	2,528,869	1,012,523	1,516,346
მეორე ეტაპი	729,961	397,516	332,445
მესამე ეტაპი	18,171,532	9,204,309	8,967,223
სულ მთლიანი ოდენობა	21,430,362	10,614,348	10,816,014

(ლარი)

12. ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები (გაგრძელება)

უზრუნველყოფის საგნის არარსებობის შემთხვევაში, მესამე ეტაპის ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის 5,548,801 ლარით მეტი იქნებოდა.

ფინანსური იჯარების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოძრაობა 2018 და 2017 წლებში ასეთია:

	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები
1 იანვარი, 2017 წ.	6,908,837
პერიოდის განმავლობაში შექმნილი	4,446,115
პერიოდის განმავლობაში ჩამოწერილი	(78,010)
31 დეკემბერი, 2017 წ.	11,276,942
ფასს 9-ის გამოყენების გავლენა (მე-4 შენიშვნა)	(460,928)
1 დეკემბერი, 2018 წ. (გადაანგარიშებული)	10,816,014
პერიოდის განმავლობაში შექმნილი	14,579,439
ჩამოწერა პერიოდის განმავლობაში ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების გაყიდვის გამო	(3,965,091)
31 დეკემბერი, 2018 წ.	21,430,362

იჯარასთან დაკავშირებული 2018 წლისა და 2017 წლის ყველა მოთხოვნა ლარშია გამოხატული. 2018 წლის და 2017 წლის ფინანსური იჯარის საშუალო ვადა 34 თვეა.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები 14,332,690 ლარის ოდენობით გადაეცა კლიენტებს აღიარების შეწყვეტის გარეშე P2P ოპერაციების ფარგლებში, ხოლო კომპანიამ დაიტოვა მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი გადაცემულ აქტივებზე (2017 წ.: ნული).

13. გასაყიდად გამიზნული სხვა აქტივები

გასაყიდად გამიზნული სხვა აქტივები შედგება მთლიანი დასაკუთრებული უზრუნველყოფისგან. დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს ავტომატურად, რომლებიც კომპანიამ დაისაკუთრა ვადაგადაცილებული დავალიანების ამოსაღებად.

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
გასაყიდად გამიზნული სხვა გრძელვადიანი აქტივები, წმინდა		
დასაკუთრებული უზრუნველყოფა	2,104,848	1,481,084
გაუფასურების რეზერვი	(656,524)	(419,545)
სულ გასაყიდად გამიზნული სხვა გრძელვადიანი აქტივები, წმინდა	1,448,324	1,061,539

(ლარი)

14. სხვა დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
მოთხოვნები დაკავშირებული მხარის მიმართ (მე-19 შენიშვნა)	2,318,384	–
P2P პლატფორმის მეშვეობით მოზიდულ დაფინანსებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	861,459	–
საქონელსა და მომსახურებაზე გადახდილი ავანსები	83,528	201,452
სხვა დებიტორები	124,018	11,085
სხვა დებიტორული დავალიანება, სულ	3,387,389	212,537

2018 წელს კომპანიამ დასაკუთრებული ავტომანქანები, რომლებიც წარმოდგენილია, როგორც გასაყიდად გამიზნული სხვა აქტივები, კრედიტით მიჰყიდა საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს მოთხოვნები საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს მიმართ 2,318,384 ლარის ოდენობით.

15. ფინანსური გარანტიისთვის შექმნილი ანარიცხები

2018 წელს კომპანიამ გააფორმა ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება, რომელიც გაიცა მშობელი კომპანიის ობლიგაციის მფლობელების სასარგებლოდ. გარანტიის გაცემის მიზანი იყო მშობელი კომპანიის დავალიანების უზრუნველყოფა 4-წლიანი 75 მილიონი ევროს კორპორატიული ობლიგაციის გამოშვების შემდეგ, რომელიც რეგისტრირებულია ფრანკფურტის საფონდო ბირჟის ღია ბაზარზე. საგარანტიო ხელშეკრულების თანახმად, კომპანია და მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანიები იძლევიან გამოუთხოვად გარანტიას, დაფარონ მშობელი კომპანიის ვალდებულება თავისი ობლიგაციების მფლობელების მიმართ, თუ მშობელი კომპანია ვერ შეასრულებს ობლიგაციების პროსპექტის პირობებით გათვალისწინებულ გადახდის ვალდებულებას. ფინანსური გარანტიის ღირებულება განისაზღვრა 729,721 ლარით გაცემის თარიღისთვის, რომელიც აღიარებულია, როგორც ვალდებულება და როგორც კაპიტალის განაწილება „სხვა რეზერვების“ მუხლში. ფინანსური გარანტიის შეთანხმების მიხედვით ვალდებულებების ამორტიზაცია ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგების მეშვეობით დარიცხვის წრფივი მეთოდით ობლიგაციის ვადის ამოწურვამდე, ანუ 2022 წლის ივლისამდე. 2018 წელს 33,169 ლარი აისახა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში სხვა საოპერაციო შემოსავლის მუხლში.

16. საკუთარი კაპიტალი

2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ნებადართული და სრულად განაღდებული კაპიტალი 5,626,474 ლარია.

სხვა რეზერვები წარმოადგენს კომპანიის მიერ მშობელი კომპანიისთვის არაფულად განაწილებებს.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიას შეუძლია დივიდენდების განაწილება თავისი წლიური მოგებიდან. კომპანიას 2018 და 2017 წლებში დივიდენდები არ გამოუცხადებია.

(ლარი)

17. ნასესხები სახსრები

გრძელვადიანი

	წლიური საპროცენტო განაკვეთი (%)	ვადა	2018	2017
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები				
Mogo Finance S.A.	16.5	27 აპრილი, 2023 წ.	22,068,619	36,160,800

	წლიური საპროცენტო განაკვეთი (%)	ვადა	2018	2017
სხვა ნასესხები სახსრები				
P2P ინვესტორებისგან მიღებული დაფინანსება	8-14	18 მაისი, 2023 წ.	9,079,564	–
Ardshinbank Armenia	7.8	2 მარტი, 2021 წ.	3,070,100	–
სხვა ნასესხები სახსრები, სულ			12,149,664	–

მიმდინარე

	წლიური საპროცენტო განაკვეთი (%)	ვადა	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
სხვა ნასესხები სახსრები				
P2P ინვესტორებისგან მიღებული დაფინანსება	8-14	18 მაისი, 2023 წ.	5,256,395	–
Ardshinbank Armenia	7.8	2 მარტი, 2021 წ.	20,338	–
სხვა მიმდინარე ნასესხები სახსრები, სულ			5,276,733	–

Mogo Finance S.A.-ისგან მიღებული მიმდინარე სესხის დაფარვის ვადა 2023 წელს სრულდება. სესხი მთლიანად უნდა დაიფაროს ვადის მოსვლისთანავე, ხოლო პროცენტი გადაიხდება ყოველთვიურად. ამ სესხთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი 2018 წელს 5,823,978 ლარს შეადგენდა (2017 წ.: 5,558,821 ლარი).

Ardshinbank Armenia-სგან ნასესხები სახსრების დაფარვის ვადა 2021 წელს იწურება. სესხი მთლიანად უნდა დაიფაროს ვადის მოსვლისთანავე, ხოლო პროცენტი გადაიხდება ყოველთვიურად. ამ სესხთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი 2018 წელს 883,332 ლარს შეადგენდა (2017 წ.: ნული ლარი).

P2P ინვესტორებისგან მიღებული დაფინანსების დაფარვის ვადა 2023 წელს იწურება. ამ დაფინანსებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი 2018 წელს 198,435 ლარს შეადგენდა (2017 წ.: ნული ლარი).

18. სხვა ვალდებულებები

	2018	2017
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	334,235	282,620
დაკავშირებული მხარეების მიმართ დარიცხული დავალიანება (მე-19 შენიშვნა)	374,090	–
გამოუყენებელი შვებულებები	181,614	91,007
გასაცემი ხელფასები	78,082	101,416
სხვა ვალდებულებები	177,532	106,160
სხვა ვალდებულებები, სულ	1,145,553	581,203

(ლარი)

19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეთა შორის განხორციელებული გარიგებების მიმდინარე ბალანსი შემდეგნაირია:

	ურთიერთობა	2018	2017
შემოსავალი			
ფინანსური გარანტიიდან მიღებული ამორტიზებული შემოსავალი	მშობელი კომპანია	33,169	–
		31,169	–
ხარჯი			
საპროცენტო ხარჯები	მშობელი კომპანია	5,823,978	5,558,821
მართვის მომსახურება (მე-8 შენიშვნა)	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	823,526	–
ავტოსალონის საკომისიო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	5,844	–
		6,653,348	5,558,821
	ურთიერთობა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
მოთხოვნები დაკავშირებული მხარის მიმართ (მე-14 შენიშვნა)	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	2,318,384	–
		2,318,384	–
ვალდებულებები			
მფლობელისგან მიღებული სესხი (მე-17 შენიშვნა)	მშობელი კომპანია	22,068,619	36,160,800
ფინანსური გარანტიისთვის შექმნილი ანარიცხები (მე-15 შენიშვნა)	მშობელი კომპანია	696,552	–
სხვა ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ (მე-18 შენიშვნა)	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	374,090	–
		23,139,261	36,160,800

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის ზედა რგოლი შედგებოდა დირექტორთა საბჭოს ორი წევრისგან.

ხელმძღვანელობის ზედა რგოლის კომპენსაცია, წარმოდგენილი თანამშრომელთა მოკლევადიანი ხელფასებითა და სარგებლით, 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის 287,698 ლარს შეადგენდა (2017 წ.: 62,858 ლარი).

(ლარი)

20. პირობითი ვალდებულებები**საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები – კომპანია, როგორც მოიჯარე**

კომპანიას გაფორმებული აქვს საოპერაციო იჯარა გარკვეულ კომერციულ საოფისე ფართზე, მათ შორის ფილიალებსა და სათავო ოფისზე. კომპანიის, როგორც მოიჯარის ვალდებულებებია:

	<i>31 დეკემბერი 2018</i>	<i>31 დეკემბერი 2017</i>
საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები (მოიჯარე)		
1 წლამდე	57,060	48,019
1 წელზე გვიან, მაგრამ არაუგვიანეს 5 წლისა	448,788	703,209
5 წელზე მეტი	257,829	260,286
სულ	763,677	1,011,514

ფინანსური გარანტია

2018 წელს კომპანიამ მშობელი კომპანიისთვის გამოუშვა გარანტია, რომლის მიხედვითაც იგი უპირობოთ და შეუქცევადად იძლეოდა გარანტიას დამოუკიდებელი გადახდის ვალდებულების სახით მშობელი კომპანიის ობლიგაციები თითოეული მფლობელისთვის ობლიგაციების პროსპექტის შესაბამისად. პირობითი ვალდებულების მაქსიმალური თანხა 75 მილიონი ევრო იყო (მე-15 შენიშვნა).

21. ფინანსური რისკის მართვა**შესავალი**

რისკის მართვის ფუნქციას კომპანიაში ეკისრება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვა. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო (მათ შორის სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი ამოცანებია რისკის ლიმიტების დადგენა და შემდგომ უზრუნველყოფა იმისა, რომ დაუფარავი დავალიანება დადგენილ ლიმიტებს არ სცდებოდეს. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები გამიზნულია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ფინანსური რისკები

კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის შემდეგი ძირითადი ფინანსური რისკებია დამახასიათებელი – სავალუტო, ლიკვიდურობის და საკრედიტო. კომპანიას არ აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან იჯარასთან დაკავშირებულ ყველა მოთხოვნას და ნასესხებ სახსრებს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები აქვს.

(ლარი)

21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**ფინანსური რისკები (გაგრძელება)***სავალუტო რისკი*

სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვლადობის გამო. კომპანიას ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე ძირითადად მოქმედებს ლარის მიმართ ევროს გაცვლითი კურსის ცვლადობის ეფექტები მფლობელისგან ევროში გამოხატული მნიშვნელოვანი სესხის გამო (მე-17 შენიშვნა).

<i>ვალუტა</i>	<i>ლარის გაცვლითი კურსის გამყარება შესაბამის ვალუტასთან მიმართებით, %</i>	<i>ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე</i>	<i>ლარის გაცვლითი კურსის გამყარება შესაბამის ვალუტასთან მიმართებით, %</i>	<i>ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე</i>
	<i>2018</i>	<i>2018</i>	<i>2017</i>	<i>2017</i>
ევრო	17.50%	4,394,976	17.50%	6,328,140

<i>ვალუტა</i>	<i>ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება შესაბამის ვალუტასთან მიმართებით, %</i>	<i>ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე</i>	<i>ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება შესაბამის ვალუტასთან მიმართებით, %</i>	<i>ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე</i>
	<i>2018</i>	<i>2018</i>	<i>2017</i>	<i>2017</i>
ევრო	-10.50%	(2,636,985)	-10.50%	(3,796,884)

ლიკვიდურობის რისკი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს დაკავშირებულ მხარეებზე საკმარისი ოდენობის საკრედიტო ვალდებულებების განაწილებით.

ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მიერ და კომპანიისთვის გადასახდელი ფულადი ნაკადები არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების და აქტივების თანახმად, რომელთა ფლობის მიზანი არის ლიკვიდურობის რისკის მართვა, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით/ ცხრილში ნაჩვენებია თანხები წარმოადგენს ფულადი სახსრების სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ნაკადებს. ნასესხები სახსრების დასაფარად გადასახდელი ფულადი ნაკადები მოიცავს მოსალოდნელ საპროცენტო გადახდებს იმ დაშვებით, რომ ძირითადი თანხა სრულად დაიფარება ვადის მოსვლისთანავე.

<i>ფინანსური ვალდებულებები</i>	<i>1 წლამდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
ნასესხები სახსრები	(5,276,733)	(34,218,283)	–	(39,495,016)
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	(145,410)	–	–	(145,810)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(452,172)	–	–	(452,172)
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	(5,874,315)	(34,218,283)	–	(40,092,998)

<i>ფინანსური ვალდებულებები</i>	<i>1 წლამდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
ნასესხები სახსრები	(5,966,532)	(23,866,128)	(38,149,644)	(67,982,304)
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	(338,716)	–	–	338,716
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(101,416)	–	–	(101,416)
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	(6,406,664)	(23,866,128)	(38,149,644)	(68,422,436)

(ლარი)

21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური რისკები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელი კომპანიისთვის გაცემული გარანტიით გათვალისწინებული პირობითი ვალდებულებების მაქსიმალური თანხა (მე-15 შენიშვნა) არის 75 მილიონი ევრო (230,257,500 ლარი 2018 წლის 31 დეკემბრის გაცვლითი კურსით), რომელიც შეიძლება გამოთხოვილი იქნეს მოთხოვამდე. ხელმძღვანელობის მოლოდინით, გარანტიის ათვისება არ მოხდება ვალდებულების ვადის ამოწურვამდე.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, თუ კლიენტი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაჰენტი ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს და, ძირითადად, წარმოიშობა კომპანიის ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან, სხვა დებიტორული დავალიანებიდან და ბანკში ნაღდი ფულის ნაშთისგან.

საკრედიტო რისკის პოლიტიკა, ძირითადად, ფარავს იჯარის გაცემის პროცესს (იჯარის გადახდისუნარიანობის შემოწმების ჩათვლით), მონიტორინგის მეთოდებს, ასევე გადაწყვეტილების მიღების პრინციპებს.

კომპანია თავის საქმიანობაში ფინანსური იჯარის გაცემის მკაფიო კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს. ამ კრიტერიუმებში შედის კლიენტის საკრედიტო ისტორიის, იჯარის დაფარვის საშუალებების და იჯარის ობიექტის შეფასება. კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ ფაქტორებს. ამ ანალიზზე დაყრდნობით, კომპანია თითოეული კლიენტისთვის ცალკე ადგენს საკრედიტო ლიმიტს. იჯარის კონტრაქტის გაფორმების შემდეგ კომპანია ახდენს იჯარის ობიექტისა და კლიენტის გადახდისუნარიანობის მონიტორინგს. კომპანიაში შეიმუშავა იჯარის მონიტორინგის პროცესი, რომ სწრაფად აღმოაჩინოს კონტრაქტის პირობების ნებისმიერი დარღვევა. მოთხოვნების ნაშთების მონიტორინგი მუდმივად ხდება იმის უზრუნველსაყოფად, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი კომპანიის უიმედო ვალებთან დაკავშირებული რისკი და, საჭიროების შემთხვევაში, მათთვის იქმნება ანარიცხები. კომპანიას არ აქვს ერთი რომელიმე კონტრაჰენტის ან მსგავსი მახასიათებლების მქონე კონტრაჰენტთა რომელიმე ჯგუფის მიმართ მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი.

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების მაქსიმალური საკრედიტო რისკი განხილულია მე-12 შენიშვნაში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა დებიტორული დავალიანება ძირითადად შედგება მშობელი კომპანიის საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს მიმართ გადაუხდელი დავალიანებისგან, რომლის საკრედიტო რეიტინგია B-.

2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში შედგება BB- საკრედიტო რეიტინგის მქონე ქართულ ბანკებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშებისგან.

კომპანიის მოლოდინით, კონტრაჰენტი შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

სხვა დებიტორული დავალიანება და ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში განაწილებულია პირველ ეტაპზე და ამ ფინანსურ აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მნიშვნელოვანი მოძრაობა არ აღნიშნულა.

კაპიტალთან დაკავშირებული რისკის მართვა

ჯგუფი თავის კაპიტალს ისე მართავს, რომ შეძლოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა. კომპანიას არ ეხება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანია შეიძლება მოიზიდოს ახალი კრედიტები ან გაზარდოს თავის საწესდებო კაპიტალი.

(ლარი)

22. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების სამართლიანი ღირებულება უტოლდება მათ საბალანსო ღირებულებას და წარმოადგენს მინიმალური იჯარის და სესხზე შენატანების ეფექტური სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებას, რომელიც კორექტირებულია გაუფასურების რეზერვის შესაბამისად.

სხვა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ეყრდნობა ეფექტური სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთით (არსებული საბაზრო განაკვეთი) დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით, იჯარის პორტფელსა და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე გამოყენებული საპროცენტო განაკვეთები შეესაბამება ანალოგიური კომპანიებისთვის ბაზარზე არსებულ საპროცენტო განაკვეთებს. ხელმძღვანელობა აღიარებს, რომ ასეთი აქტივების/ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება რომ შეფასებულიყო იმ თანხით, რომლითაც გაიყიდება აქტივი ან დაიფარება ვალდებულება სათანადოდ ინფორმირებულ მესამე მხარეებთან გაშლილი ხელის პრინციპით შემდგარ გარიგებაში, შესაბამისი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არსებითად განსხვავებული არ იქნებოდა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მოწვევის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის. სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

კომპანიის ყველა ფინანსურ ინსტრუმენტი, ბანკში ნაღდი ფულის ნაშთის გარდა, მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მესამე დონეს.

31 დეკემბრით დასრულებული 2018 წლის და 2017 წლის განმავლობაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადატანები არ მომხდარა.

23. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

2018	1 იანვარი, 2018 წ.	ფულადი ნაკადები	სავალუტო კურსის მოძრაობა	დარიცხული პროცენტი	31 დეკემბერი, 2018 წ.
ნასესხები სახსრები	36,160,800	(2,631,093)	(940,436)	6,905,745	39,495,016
სულ ფინანსური ვალდებულებები	36,160,800	(2,631,093)	(940,436)	6,905,745	39,495,016

2017	1 იანვარი, 2017 წ.	ფულადი ნაკადები	სავალუტო კურსის მოძრაობა	სხვა	31 დეკემბერი, 2017 წ.
ნასესხები სახსრები	25,535,038	2,390,992	2,698,188	5,536,583	36,160,800
სულ ფინანსური ვალდებულებები	25,535,038	2,390,992	2,698,188	5,536,583	36,160,800

24. საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

2019 წლის აპრილში Mogo Finance S.A.-ის სესხი სრულად დაიფარა და Mogo Finance S.A.-სთან გაფორმდა 4-წლიანი ახალი სასესხო ხელშეკრულება 5 მილიონი ევროს მთლიან თანხაზე (15,350,500 ლარის ეკვივალენტი 2018 წლის 31 დეკემბრის გაცვლითი კურსით).

მმართველობითი ანგარიშგება

ზოგადი ინფორმაცია

შპს „მოგო“ (შემდგომში „კომპანია“) საქართველოს ბაზარზე უკუიჯარის და ფინანსური იჯარის გადაწყვეტილებების მოწინავე ორგანიზაციაა. კომპანია სწრაფ და მოხერხებულ მომსახურებებს სთავაზობს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საქართველოში, ავტომობილების ფინანსური ლიზინგის და უკულიზინგის ოპერაციების შეთავაზების გზით, 27,000 ლარამდე თანხით და ექვს წლამდე პერიოდით. ორივე შემთხვევაში სესხის უზრუნველსაყოფად ავტომანქანა გამოიყენება და ამიტომ კომპანიის მიერ გაცემული ყველა სესხი უზრუნველყოფილია. დაფინანსება გაიცემა მომხმარებელთა მომსახურების ცენტრებში. 2018 წლის ბოლოსთვის, აქტიური კლიენტების რაოდენობამ შეადგინა 19,965.

კომპანიის მიზანია მის კლიენტებს მარტივად მისაღები, მოხერხებული და ხელმისაწვდომი უკულიზინგი და ფინანსური ლიზინგის გადაწყვეტილებები შესთავაზოს. ამ მიზნის მისაღწევად, კომპანია თავის კლიენტებს სთავაზობს მათ საჭიროებებზე მორგებულ სხვადასხვა გადაწყვეტილებებს, მაღალი დონის მომსახურებას და ხელმისაწვდომობას. კომპანია პირდაპირ თანამშრომლობს ავტომობილების დილერების ფართო ქსელთან, სადაც კლიენტებს შეუძლიათ ავტომობილის შეძენა დაფინანსების მისაღებად.

კომპანიას 13 ფილიალს ფლობს მთელს საქართველოში. აქედან შვიდი თბილისსა და რუსთავში, ხოლო ექვსი - რეგიონებშია განთავსებული.

მისია, ხედვა და ღირებულებები

მისია

კომპანიის მისიაა ხელმისაწვდომი და მისაღები სალიზინგო მომსახურებების შეთავაზება კლიენტებისთვის, რომლებსაც სჭირდებათ დაფინანსების მიღების სწრაფი და მარტივი შესაძლებლობით სარგებლობა ან აქვთ მანქანის შეძენის სურვილი.

ხედვა

კომპანიის ხედვაა იყოს ბაზრის ლიდერი, კლიენტებზე ორიენტირებული და ხელმისაწვდომი უკულიზინგის და ფინანსური ლიზინგის გადაწყვეტილებების კომპანია საქართველოში.

ღირებულებები

- სწრაფი მომსახურება ზედმეტი ფორმალურობის გარეშე, ისეთი ფორმით, რომ კლიენტმა შესძლოს საჭირო დაფინანსების მიღება რამდენიმე საათში.
- ღია კომუნიკაცია და ყველა და თითოეულ კლიენტზე მორგებული მიდგომა, გადაწყვეტილებების ურთიერთსარგებლო შედეგების უზრუნველსაყოფად.
- გრძელვადიანი ურთიერთობა ყველა კლიენტთან და გაუმჯობესებისთვის უკუკავშირის და შემოთავაზებებისთვის ღიაობა.

საოპერაციო და ფინანსური შედეგები

2018 წელს კომპანია ქართული ბაზრის ლიდერის მყარ პოზიციას ინარჩუნებდა და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ზრდისა და მომგებიანობის მიმართულებით, უაღრესად კონკურენტულ გარემოში. საპროცენტო შემოსავალმა 31,7 მილიონი ლარი (52%-იანი ზრდა 2017 წელთან შედარებით) შეადგინა. შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA) 14,8 მილიონ ლარამდე გაიზარდა (16%-იანი ზრდა 2017 წელთან შედარებით). ჩვენი მთლიანი აქტივები 63,4 მილიონ ლარამდე გაიზარდა (23%-იანი ზრდა 2017 წლის დეკემბრის ბოლოს არსებულ მაჩვენებლებთან შედარებით), ხოლო ჩვენმა შემოსავალმა 7,7 მილიონი ლარი შეადგინა (4%-იანი ზრდა 2017 წელთან შედარებით). 2018 წლის ბოლოსთვის, ფინანსური იჯარის დებიტორულმა დავალიანებამ 55,8 მილიონ ლარს მიაღწია.


2018 წლის შედეგებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცდა კლიენტების მიერ კომპანიის მომსახურებების და მათ მიერ მიღებული სარგებლის დადებითად შეფასება.

2018 წლის ივლისის შემდეგ, პერიოდული ტექნიკური დათვალიერება სავალდებულო გახდა და კომპანია უზრუნველყოფს, რომ ყველა ავტომობილს, რომელზეც ლიზინგი გაიცემა, გავლილი ჰქონდეს პერიოდული ტექნიკური დათვალიერება ან ჰქონდეს დრო ტექნიკური დათვალიერებისას გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად და რომ ასეთ შემთხვევაში გამოვლენილი პრობლემები არ იყოს მნიშვნელოვანი და რისკის მატარებელი იმისა, რომ მანქანა ვერ გაივლის დათვალიერებას რეგულაციებით დადგენილ ვადებში. ეს ეკოლოგიური თვალთახედვით უადრესად მნიშვნელოვანი საკითხია.

სხვა ბანკებმა დაიწყეს ინტერესის გამოხატვა მეორადი ავტომობილებზე ავტო-კრედიტების გაცემაზე, რაც მზარდ კონკურენციას იწვევს საფინანსო სექტორში. მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე ახალი მომხმარებლები პასიურები არიან, არსებობს დროთა განმავლობაში კონკურენციის ზრდის რისკი.

2018 წლის ნოემბერში, შეიქმნა ტელემარკეტინგის გუნდი, რამაც გამოიწვია მომხმარებელთა მომსახურების დეპარტამენტში დასაქმებულ პირთა რვა აგენტით შემცირება, ტელემარკეტინგულ საქმიანობაზე შემცირებული მოთხოვნის გამო, ხარჯების ოპტიმიზაციაზე დანახარჯებთან ერთად. ადამიანური რესურსების პოლიტიკასთან დაკავშირებით 2018 წლის განმავლობაში სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. ამ წელს თანამშრომლების საშუალო რაოდენობა 113 იყო.

ფინანსური რისკების მართვა განხილულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 21-ე შენიშვნაში, ხოლო ფინანსური თარიღის ანგარიშგების შემდგომი მოვლენები 24-ე შენიშვნაშია მოცემულია.



ანა ქურსუა

დირექტორის უფლებამოსილი წარმომადგენელი

2018 წლის შედეგებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცდა კლიენტების მიერ კომპანიის მომსახურებების და მათ მიერ მიღებული სარგებლის დადებითად შეფასება.

2018 წლის ივლისის შემდეგ, პერიოდული ტექნიკური დათვალიერება სავალდებულო გახდა და კომპანია უზრუნველყოფს, რომ ყველა ავტომობილს, რომელზეც ლიზინგი გაიცემა, გავლილი ჰქონდეს პერიოდული ტექნიკური დათვალიერება ან ჰქონდეს დრო ტექნიკური დათვალიერებისას გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად და რომ ასეთ შემთხვევაში გამოვლენილი პრობლემები არ იყოს მნიშვნელოვანი და რისკის მატარებელი იმისა, რომ მანქანა ვერ გაივლის დათვალიერებას რეგულაციებით დადგენილ ვადებში. ეს ეკოლოგიური თვალთახედვით უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია.

სხვა ბანკებმა დაიწყეს ინტერესის გამოხატვა მეორადი ავტომობილებზე ავტო-კრედიტების გაცემაზე, რაც მზარდ კონკურენციას იწვევს საფინანსო სექტორში. მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე ახალი მომხმარებლები პასიურები არიან, არსებობს დროთა განმავლობაში კონკურენციის ზრდის რისკი.

2018 წლის ნოემბერში, შეიქმნა ტელემარკეტინგის გუნდი, რამაც გამოიწვია მომხმარებელთა მომსახურების დეპარტამენტში დასაქმებულ პირთა რვა აგენტით შემცირება, ტელემარკეტინგულ საქმიანობაზე შემცირებული მოთხოვნის გამო, ხარჯების ოპტიმიზაციაზე დანახარჯებთან ერთად. ადამიანური რესურსების პოლიტიკასთან დაკავშირებით 2018 წლის განმავლობაში სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. ამ წელს თანამშრომლების საშუალო რაოდენობა 113 იყო.

ფინანსური რისკების მართვა განხილულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 21-ე შენიშვნაში, ხოლო ფინანსური თარიღის ანგარიშგების შემდგომი მოვლენები 24-ე შენიშვნაშია მოცემულია.

ანა ქურსუა

დირექტორის უფლებამოსილი წარმომადგენელი